ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №6

ქ. ლანჩხუთი

25.08.2022.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, გიორგი ჩახვაძე, ჯუმბერ ბლაგიძე და გიორგი გოგუაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ომარ ჯანაძე** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

3. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 5 აგვისტოს N1398 განკარგულებით საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დამატებით გამოეყო 2050000 ლარი, რომელიც უნდა მიიმართოს შემდეგ პროექტებზე; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ შუხუთიდან გაგურის

ცენტრამდე გზის რეაბილიტაციაზე 1300000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 68422 ლარი, სულ მიმდინარე წელს პროექტზე მიიმართება 1368422 ლარი; ქ. ლანჩხუთში გორგასლის ქუჩაზე მრავალბინიანი კორპუსის საძირკველის გამაგრებაზე 254000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 400160 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 654160 ლარი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოითის, გვიმბალაურის, ნინოშვილის, მამათის, აცანის, შუხუთის, ჯურუყვეთის, ნიგვზიანის, ჩოჩხათის, ლესის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე 496000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 239465 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 735465 ლარი.

როლანდ ლაშხიამ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით გამოყოფილი თანხით დაფინანსებულ პროექტებზე ტენდერის შედეგების გათვალისწინებით გზების რეაბილიტაციის (ხიდი აკეთი) დაფინანსება უნდა შემცირდეს 3399 ლარით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის დაფინანსება-2681 ლარით. ასევე, საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხა უნდა შემცირდეს 16455 ლარით. სუფსის სამუსიკო სკოლის სახურავის რეაბილიტაციაზე მიიმართოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 13672 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 15058 ლარი, სულ პროექტის ღირებულებაა 28730 ლარი. განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განმარტების გათვალისწინებით ახალგაზრდული პროგრამის დაფინანსება გაიზარდოს 2700 ლარით; ხოლო კულტურის ხელშეწყობის პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლის 1210 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს განათლების ხელშეწყობის სხვა ხარჯების მუხლი 1210 ლარით.

მან ასევე აღნიშნა, რომ ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მომართვის საფუძველზე უნდა გაიზარდოს დაფინანსება 15000 ლარით. მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მოვლა შენახვის და ექსპლოატაციის ხარჯების (საწვავ-საპოხი მასალები ფასების ზრდის გათვალისწინებით) დაფინანსება-78400 ლარით, მათ შორის: საკრებულოს დაფინანსება 35000 ლარით, მერიის დაფინანსება-40000 ლარით, სამხედრო სამსახურის დაფინანსება-3400 ლარით. გარე განათების ქსელის გაფართოების გათვალისწინებით გაიზარდოს მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის დაფინანსება 100000 ლარით.

ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზაციის დონის გათვალისწინებით არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) მისაღები შემოსავლის პროგნოზი უნდა შემცირდეს 36395 ლარით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურულ პროექტების თანადაფინანსებაზე მიმართული თანხები და მიმდინარე ხარჯების ზრდის დაბალანსება უნდა განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლების 770600 ლარით და ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლების 185000 ლარით ზრდის ხარჯზე.

მან ასევე განმარტა, რომ საკრებულოს სხდომაზე, რომელიც ჩანიშნულია მიმდინარე წლის 29 აგვისტოს განმარტებით ბარათს განსახილველად დაემატება რამდენიმე ცვლილება. კერძოდ: სუფსაში კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოიყოფა 4600 ლარი, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის -100000 ლარი, ახალგაზრდული პროგრამებისთვის-3000 ლარი და ახალგაზრდების განათლების ღონისძიების დასაფინანსებლად -500 ლარი. შესაბამისად ბიუჯეტი გაიზრდება 3005600 ლარით.

ჯუმბერ ბლაგიძემ დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, რომ ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ჩატარება მოხდებოდა თუ არა ხიდმაღალის გზაზე, რაზეც **ია მოქიამ** გააკეთა განმარტება, რომ აღნიშნული გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა განხორციელდება სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ჩასატარებელი თანხით.

გიორგი გოგუაძემ გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ქალაქის მოსახლეობის საკუთრებაში არსებულ საყანე ფართობებთან მისასვლელი გზები არის გავერანებული, გზის დიდი ნაწილი დაფარულია ჩოჩობებით და მოსახლეობას ფართობებთან აბაშის მხრიდან უწევს მისვლა. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია ჩატარდეს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ საყანე ფართობებთან მისასვლელი გზების პრობლემა თუ სახელმწიფო დაფინანსებით ვერ მოხერხდა აუცილებელია მოგვარდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ია მოქიამ აღნიშნა, რომ გამოყოფილი თანხით სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სავარაუდოდ სექტემბრის შუა რიცხვებისთვის იგეგმება სოფელ გრიგოლეთის პოპულარიზაციის ღონისძიებები.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში დანიშნულმა აუქციონატორმა 27.06.52.438, 27.09.50.282, 27.02.41.163 და 27.02.41.004 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონებაზე (ქონების აღწერა მოცემულია განკარგულების პროექტში) ორჯერ უზრუნველყო ელექტრონული აუქციონის მოწყობა როგორც საწყისი საპრივატიზებო საფასურით, ასევე განმეორებით საწყისი ფასის 49%-ის შემცირებით, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი პრივატიზება არ განხორციელდა.

ომარ ჯანაძემ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე ისევ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი, მაგრამ არა წარმოდგენილი სახით, არამედ აუქციონზე მოხდეს მხოლოდ ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის, კერძოდ; ქვემო ჩიბათის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობის (საკადასტრო კოდი 27.09.50.282) გატანა. მან ასევე აღნიშნა, რომ ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური 67%-ით შემცირდა. „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის 669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვინაიდან საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება 50%-ს ქვემოთ ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა, ამიტომ აუცილებელია საკრებულომ განიხილოს წარმოდგენილი პროექტი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ია მოქიამ მოითხოვა, რომ საკრებულოს სხდომისთვის აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი იყოს კორექტირებული სახით და ამასთანავე დასვა შეკითხვა, იმის თაობაზე თუ რატომ ხდებოდა რამდენიმე უძრავი ქონების ამოღება აუქციონზე გასატანი ჩამონათვალიდან, რაზეც **ალექსანდრე მახათაძემ** გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვემო ჩიბათის მიწის ნაკვეთით და მასზე განთავსებული შენობით დაინტერესებულია რეალური ინვესტორი, რომელიც აპირებს იქ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ იგი მიესალმება სოფელ ქვემო ჩიბათში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას, მაგრამ ასევე აღნიშნა, რომ არ მიაჩნია მიზანშეწონილად საპრივატიზებო საფასურის დაწევა, რადგან რეალური ინვესტორის არსებობის შემთხვევაში მოხდება ქონების ძალიან დაბალ ფასში გასხვისება.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონება უმჯობესია დაბალ ფასში გაიყიდოს, ვიდრე განადგურდეს.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხვადასხვა

- **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სოფელ სუფსაში ე.წ. ეიფელის ხიდი დაჭრეს და დაასაწყობეს. მიმდებარე ტერიტორია, კი არის გავერანებული და ბუდობს ქვეწარმავლები. მან მიმართა ია მოქიას, როგორც სუფსის მაჟორიტარ დეპუტატს, რომ დროულად მოხდეს რეაგირება აღნიშნულ ფაქტზე.
- **გიორგი გოგუაძემ** დასვა შეკითხვა იმის თაობაზე გაფორმდა თუ არა ხელშეკრულება საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიასთან“ და რა პირობებით. შოთა ჩაგუნავამ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ კლუბის ხელმძღვანელობის მიერ მუნიციპალიტეტის ანგარიშზე მოხდა 27000 ლარის ჩარიცხვა და ხელშეკრულების პირობის თანახმად უახლოეს მომავალში უნდა წარმოადგინონ საგარანტიო ფურცელი 56000 ლარზე და წლის ბოლომდე უნდა დაიფაროს ყველა მიმდინარე ვალდებულება, რომელიც გააჩნია საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“. ასევე მყიდველის მიერ უნდა მოხდეს 200000 ლარის ინვესტირება.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი

25.08.2022 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №6

2022 წლის 25 აგვისტოს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25.08.2022 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11 50	
2	ია მოქია	11 55	
3	გიორგი ჩახვაძე	12 00	
4	სპარტაკ კვაჭაძე	11 50	
5	კახა თედორაძე	ის ესწრება	
6	ვლადიმერ ნანაძე	ის ესწრება	
7	გიორგი გოგუაძე	11 50	
8	ჯუმბერ ბლაგიძე	11 50	